დოქტორი სანტიაგო გარსია

დოქტორი გარსია არის აკადემიკოსი, ექსპერტი და ინოვატორი. მას დოქტორის ხარისხი ლიდსის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში მიენიჭა, ამჟამად არის KEDGE-ს ბიზნესის სკოლის (საფრანგეთი) ვიცე-პრეზიდენტი განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში, აგრეთვე იკავებს პროფესორის პოზიციას Universidad de La Sabana- ში (კოლუმბია). დოქტორი გარსია არის ექსპერტი ტრანსფორმაციის, ახალი ბიზნეს მოდელებისა და საერთაშორისო განვითარების საკითხებში. იგი სხვადასხვა წამყვანი საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტარტეგიული მრჩეველია.

წარსულში დოქტორი გარსია იყო რენეს ბიზნესის სკოლის გლობალური სკოლის დეკანი და გრენობლის ბიზნესის სამაგისტრო სკოლის დირექტორი. მისი ხელმძღვანელობით ეს სამჯერ აკრედიტებული სკოლები ევროპის უმაღლესი ინსტიტუტების სიაში შევიდნენ. იგი ზედამხედველობდა მაღალკვალიფიციურ საბაკალავრო, სამაგისტრო, DBA და MBA პროგრამებს საფრანგეთში, ლონდონში, ბერლინში, მოსკოვში, სინგაპურში, თბილისსა და ჰონგ-კონგში.

სანამ დოქტორი გარსია თავისი ამჟამინდელი საქმიანობის შესრულებას შეუდგებოდა, იგი GGSB– ის გლობალური მიღების დირექტორი იყო. მან 20 წლიანი გამოცდილება დააგროვა ბიზნესისა და აკადემიური სფეროების გადაკვეთაზე მუშაობისას საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სხვადასხვა საქმიანობით აშშ–ში, ბელგიაში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში.

დოქტორი გარსია ამჟამად მუშაობს საერთაშორისო აკრედიტაციის შემფასებლად და არის მუდმივი მომხსენებელი კონფერენციებსა და პანელებზე, რომლებიც ეხება საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების საკითხებს, უზრუნველყოფს უნიკალურ გამოცდილებათა და ახალი ბიზნეს მოდელების გააზრებას, ხარისხს, ოპერაციების ინტერნაციონალიზაციას, გლობალურ პარტნიორობასა და დიგიტალიზაციას.

რაც ყველაზე მთავარია, დოქტორი გარსია კავკასიის უნივერსიტეტთან ერთად მუშაობდა სხვადასხვა გლობალურ პროექტზე, კავკასიის უნივერსიტეტის, როგორც მთავარი მოთამაშის პროგრესისთვის საქართველოსა და საერთაშორისო ასპარეზზე: საფრანგეთში კავკასიის უნივერსიტეტის ევროპული კამპუსის დაარსება, ერთობლივი სადოქტორო ხარისხის შემუშავება და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელება, ასევე გრენობლთან ერთობლივი MBA–ს მართვა, ამასთან ფრანგი და ქართველი სტუდენტების მობილობისა და ორმაგი ხარისხის შესაძლებლობების კონსოლიდაცია. აღნიშნული მცირე ჩამონათვალია კავკასიის უნივერსიტეტის პროგრესის საფრანგეთსა და საქართველოს შორის საგანმანათლებლო კავშირებისა და მეგობრული თანამშრომლობის განმტკიცების მიმართულებით.